

ARTIST ERIUUM

17



არტისტერიუმი 17

თბილისის თანამედროვე ხელოვნების
საერთაშორისო გამოფენა

7 აგვისტო - 10 ოქტომბერი
2024

ARTISTERIUM 17

Tbilisi International Contemporary Art Exhibition
and Art Events

AUGUST 7 - October 10
2024

WWW.ARTISTERIUM.ORG

„არტისტერიუმი“ თბილისის თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენაა, რომელიც ქართველი და საერთაშორისო მხატვრების პროექტებს, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებს მოიცავს.

გამოფენის სათაური ეფუძნება თბილისში გასული საუკუნის 10-იან წლებში, ჟურნალ „არს“-თან არსებული მოდერნისტული კლუბის სახელწოდებას. კლუბი ცნობილი იყო ინტენსიური შემოქმედებითი გარემოთი, ავანგარდული გამოფენებით, პოეზიის საღამოებით, ლექციებით და სხვა აქტივობებით, რომელიც თანადროულ კუბო-ფუტურისტულ ტენდენციებს ეხმაურებოდა. გამოფენის სახელწოდება ადადგენს ქართული თანამედროვე ხელოვნების კავშირს თბილისურ მოდერნიზმთან, სხვა სიტყვებით - საკუთარ ფესვებთან.

2024 წლის არტისტერიუმის მთავარი თემაა მხატვრული განათლება.

მხატვრული განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ხელოვნების სხვადასხვა ფორმების გაცნობის გზით, საზოგადოებაში ვითარდება ხელოვნების, კულტურის და მათი პერსპექტივის შეფასების უნარი. მხატვრული განათლება ხელს უწყობს თვითგამოხატვას და ემოციურ ინტელექტს, აძლევს პიროვნებას მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, მის გარშემო არსებულ სამყაროს ინტერპრეტაციისა და მასზე ზეგავლენის მოსახდენად. მხატვრული განათლების პროცესებში ინტეგრაციით, მომავალ თაობებს ეძლევათ ინოვაციებისა და საზღვრებს მიღმა აზროვნების საშუალება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უფრო მრავალფეროვანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მაგდა გურული

ARTISTERIUM is an Annual International Contemporary Art Exhibition and Art Events held in Tbilisi, organized by the Georgia-based non-governmental art organization, Artisterium Association. The event features international exhibitions, individual art projects, and educational and cultural programs.

As a nonprofit, artist-run initiative, ARTISTERIUM takes its name from the art club associated with the early 20th century Tbilisi art magazine ARS. This club was renowned for fostering a vibrant artistic environment through avant-garde exhibitions, poetry evenings, lectures, and other activities that reflected the modernist and cubo-futuristic movements of the time. The event's title evokes a connection between contemporary Georgian art and the rich modernist heritage of Tbilisi, bringing its artistic roots into the present.

The 2024 Artisterium is focused on art education.

Art education plays a crucial role in fostering creativity and critical thinking. Through exposure to various art forms, individuals develop an appreciation for diverse perspectives and cultures. Art education encourages self-expression and emotional intelligence, providing them with the tools to interpret and influence the world around them. Integrating artistic practices into education empowers future generations to innovate and think outside the box, contributing to a more vibrant and inclusive society.

Magda Guruli

კუბი კონტექსტში

თბილისი, მზიური პარკი, ნაგებობა 5

**სწავლის ხელოვნება:
მულტიმედიაური ვორკშოპების სერია**

მამუკა ჯაფარიძე
ვატო წერეთელი
ანა კორძია-სამადაშვილი
გოჩა ჟღენტი
მამუკა სამხარაძე
ნინო მაღლაკელიძე
კშიშტოფ ფრანაჩეკ (პოლონეთი)
ნინუცა გაბისონია & ბაჩი ვალიშვილი
სოფია ლაპიაშვილი
რენე ენისელი

კურატორი: ანუკა ლომიძე

Cube in Context

Tbilisi, Mziuri Park, Building 5

**Art of Learning:
Series of Multimedia Workshops**

Mamuka Japharidze

Wato Tsereteli

Ana Kordzaia-Samadashvili

Gocha Zhgenti

Mamuka Samkharadze

Nino Maglakelidze

Krzysztof Franaszek (Poland)

Ninutsa Gabisonia & Bachi Valishvili

Sophia Lapiashvili

Renee Eniseli

Curated by Anuka Lomidze

მამუკა ჯაფარიძე | MAMUKA JAPHARIDZE

სველი მთვარე | Wet Moon

გიფსოგრაფიის ვორკშოპი | Plastergraphy workshop

მთვარე დიდი ყინულის პლანეტა იყო. დედამიწას მოუახლოვდა, დადნა და წყლები ოკეანეებად გაღმოდვარა დედამიწაზე...

The moon was a large ice planet. It came close to the Earth and melted. The waters poured out like oceans on the Earth...

შრობის პროცესში, სველი თაბაშირის ზედაპირზე ბუშტები ჩნდება, ძალიან ჰგავს მთვარის ზედაპირს...

During the drying process, bubbles appear on the surface of the wet plaster, very similar to the surface of the moon...


კრეაციონისტული ჰიპოთეზა, რომელსაც გიზიარებთ, სწორედ ამ მსგავსების შთაგონებითაა შექმნილი ...

The creationist hypothesis I share with you is inspired by this similitude...









შემდეგი რეალობა | The Next Reality

მონაწილეობითი ვორქშოფი | Participatory workshop

ვორქშოფის მთავარ იდეას მონაწილეობაში შემოქმედებითი პოტენციალის გაღვიძება და ინდივიდუალური სახელოვნებო პრაქტიკიდან, სოციალურ განახლებაზე გადასვლა წარმოადგენს. მონაწილე ახალი სათემო პროექტის ინიციატორი და ავტორი ხდება.

2010 წლიდან, თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ჩამოყალიბდა და განვითარდა ახალი სასწავლო პროფილი – შემოქმედებითი მედიაცია, რაც მოცემული პროექტის ინსპირაცია გახდა. “შემდეგი რეალობა”, პირველად ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტში, 2011 წელს ჩატარდა.

ვორქშოფის თეორიული ნაწილი შედგება ორი ძირითადი პერსპექტივისგან: ხელოვნების ისტორიის ასახვა: სოციალური სკულპტურა (იოზეფ ბოისი) და ურთიერთობრივი ხელოვნება (ნიკოლა ბურრიო).

The workshop aims to awaken participants' creative potential, encouraging a shift from individual artistic practice to social renewal. Each participant will take on the role of initiator and author of a new community project.

Since 2010, Tbilisi Contemporary Art Center has cultivated a new educational focus—creative mediation—which inspired this project. "The Next Reality" was first introduced at the Vienna University of Applied Arts in 2011.

The workshop's theoretical foundation covers two key perspectives: Art history reflection: Social sculpture (Joseph Beuys) and Relational Aesthetics (Nicolas Bourriaud).







ანა კორძაია-სამადაშვილი | ANA KORDZAIA-SAMADASHVILI

შემოქმედებითი წერის ვორქშოპი | Creating Writing Workshop

“ვერავინ ვერასდროს უკარნახებს ვინმეს რა და როგორ დაწეროს.
მხოლოდ იმას გირჩევთ რა არ უნდა გავაკეთოთ ხოლმე”...

No one can dictate what or how someone should write.
I only offer recommendations on what to avoid.



...

ელენე შეთეკაური,
14 წლის

მივაბიჯებ უხმოდ სადარბაზოში. გვიანია. ბნელა, წვიმამ უკვე გადაიღო. სადარბაზოში ერთი ძველი ნათურა სუსტად ანათებს.

ლიფტთან მივდივარ. ვიძახებ. ისიც ჯახუნობს. ჯერ მე-6 სართულზეა. მე, სადარბაზოს გავცქერი, ვინმე ხომ არ მოდის-მეთქი.

იღება კარი ჭრაჭუნით, შევდივარ. ლიფტს კოხტა არ ეთქმის. ისეთი ლიფტია, არც დიდი რომაა და არც პატარა. სადაცაა უნდა მივაჭირო მე-5 სართულის დილაკს... ვიღაც შემოვარდა ლიფტში.

უეცრად, გაუგონრად... ალბათ ეჩქარებოდა.

მხრებში მოხრილი იყო, არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, თავზე ქუდი ეფარა. ვერ ვიცანი, სახესაც ვერ ვხედავდი.

როგორც კი შემოვიდა, ეგრევე ვიგრძენი როგორ დამძიმდა ჰაერი, ლიფტიც კი შეირხა. ყოყმანის გარეშე ვკითხე:

-რომელ სართულზე მიდიხართ?

რადაც გაურკვევლად მიპასუხა. მიხვდა, რომ ვერ გავიგე მისი ბუტბუტი. მე-5 სართულს მიაჭირა.

ნელა დაიძრა ლიფტი, არ მიკვირს. ისეთი ძველია, ნეტა არ ჩაწყდეს.

ფეხებს თვალი მოვწყვიტე, ფიგურა თვალებში მიყურებდა. მე-3 სართულზე ვიყავით...

“ვინ არის ეს ადამიანი?” ვფიქრობდი.

ვერ გავარკვიე ქალი იყო თუ კაცი, როგორ ცხოვრების სტილს მიჰყვებოდა და არ მეცნობოდა.

რატომღაც, ამ ადამიანთან სიახლოვეს ვგრძნობდი. ლიფტში რაც შემოვიდა, ვეღარ ვსუნთქავდი ნორმალურად... კუთხეში ვარ მიყუჟული, დიდი ადგილი უკავია.

მე-5 სართულს მივადწიეთ. თვითონ არსად წასულა, მე გავედი. სახლი ლიფტის პირდაპირ მაქვს.

ზარი დავრეკე, მაგრამ უკან რომ გავიხედე, მხოლოდ ჩემი ანარეკლი დავინახე ლიფტის გასვრილ სარკეში.

ათ თეთრიანი

მარიშა კუპრეიშვილი

ლიფტისკენ მიმავალს უკნიდან ახლაგაზრდა ბიჭის ხმა მომესმა “ფუ შენი”, მერე კიბეზე ასვლის ხმა გავიგონე. მივუბრუნდი და ვუთხარი: “მე მაქვს ათთეთრიანი, აგიყვან-მეთქი”.

“აუ სულ მავიწყდება, ძალიან დიდი მადლობაო”. სანამ ლიფტი მოვიდოდა ვიღიმოდით. შესვლისას ვკითხე რომელზე მიდიოდა. აღმოჩნდა რომ ისიც მეშვიდე სართულზე ცხოვრობს, ჩემს პირდაპირ. გაუკვირდა “კარის მეზობლები ვყოფილვართო”. არც ერთი ვიცნობდით ერთმანეთს. გაგვეცინა. კარებთან მისვლისას მადლობაო და იმ ბინაში შევიდა, საიდანაც სულ ვიოლინოს ხმა მესმოდა ხოლმე. ვფიქრობდი ნეტა, ეს ხომ არ უკრავს-მეთქი. იმ დღის მერე ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

ბექას მამა პირველ სართულზე ცხოვრობს, მე მეშვიდეზე. ბექა ჩემი ბაღელი იყო მაგრამ მამამისის სახელი, მაინც სულ მავიწყდება. ორჯერ მქონდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ლიფტის ფული არ მქონდა და კიბეზე ამავეს მითხრა: “მე მაქვს ათ თეთრიანიო”. იმ დღის მერე თუ ხურდა არ მქონდა და ბექას მამაც იქვე იყო, სადარბაზოში არ შევდიოდით. მერიდებოდა, ვიცოდი შეამჩნევდა და ხურდას მომცემდა. იმ დღეს ისევ კიბით დავიწყე ასვლა, რომ ლიფტიდან ბექას მამამ და მისმა ძმაცამა გამომძახეს “მოდიო”. მეც ვუპასუხე ათთეთრიანი არ მაქვს-მეთქი. იქიდან პასუხად მითხრეს ჩვენ გვაქვსო. შესვლისას ბექას მამამ ჩემი კუთვნილი ათთეთრიანი გადმომცა. მაგრამ, გამოყენება არ დამჭირვებია: მისმა ძმაცამცა “ხერხს” მიმართა და ხურდის ჩაგდებისას სამ ღილაკს ერთდროულად დააჭირა. იმუშავა...

ბექას მამას ხურდას ვუბრუნებდი, მითხრა დაიტოვეო. მერე თავის ძმაცაც გადახედა და უთხრა “ეს მალხაზის შვილიაო”. იმანაც “უი, რამხელა გაზრდილა, რამდენი წლის ხარო? ხელში მეჭირე თოთო რომ იყავიო”. ბექას მამამ დააყოლა: “მე და მამაშენი ტოლები ვართო. ხო 70-იანი არისო მალხაზი?”.

მე მორცხვად ვუღიმიოდი და ყველა კითხვაზე ბეჯითად ვპასუხობდი. უცნაური შეგრძნება მქონდა, იმ პერიოდში სულ ჩემი ბავშობის სურათებს ვათვალიერებდი... თან, მანამდე, რამდენიმე დღის წინ ვოლტის კურიერმა შეკვეთა, რომ მომიტანა, ესემესი მომწერა “ შენი ბაღელი ვარო, ფეისბუქზე დაგამატებ და საბავშვო ბაღის ცეკვის ვიდეოს გამოგიგზავნიო”.

შეხვედრა ლიფტში ანა გოგონია

ცივა.
სუსხიანი ამინდია.
ისმის ნაბიჯების ხმა.
ეს ნაბიჯები შენ გეკუთვნის.
გგონია ჩქარობ, მაგრამ ცდები.
ცდილობ ისუნთქო, მაგრამ არ გამოგდის.
ჩერდება და კიდეც უფრო ღრმად იწყებ სუნთქვას
არც ახლა გამოგდის.

ფიქრობ, რომ ეს ჰაერი არ გეკუთვნის.
არ გეკუთვნის კი არა, შენი ფილტვები არ ღებულობენ, უბრალოდ მათ არ უნდათ.

...

ამ ადგილს მივეყინე.
სიარული მოძრაობა სუნთქვა მიჭირს.

მინდა რომ ლიფტის ღილაკს ხელი დავაჭირო.
ჩემი ტვინი ამას კარნახობს ხელებს. ხელებს ვუყურებ: ადგილიდან არ იძვრიან. კიდეც რამდენიმე წამიც და ვიცი რომ შევძლებ ლიფტის გამოძახებას.

ღილაკს ვუყურებ, ისეთი ძველი და ჭუჭყიანია.
უფრო ჭუჭყიანი, ბებური და ცოტა ბალნიანი საჩვენებელი თითი იძახებს ლიფტს.

ღმერთო ჩემო, იმედია ეს თითები მე არ მეკუთვნის.
როგორც იქნა ლიფტი მოვიდა
შუახნის მამაკაცმა გზა დამითმო.
შევედი, ტყავის ქურთუკი ეცვა.
ლიფტი იყო ძალიან ძველი და ვიწ-
რო.
თამბაქოსა და ტყავის სუნი ასდიო-
და.
მარჯუბდა, მაგრამ თან რაღაცას
მასხენებდა.
მისი ხვნეშაც მარჯუბდა.
მხოლოდ 5 სართული, რამდენიმე
წამიც და გახვალ მუყაოს ყუთიდან.
ჩემი მეზობელი აღმოჩნდა, მეცხრე
სართულიდან.
გამოდის, რომ ისედაც ვიწრო გასასვ-
ლელი უფრო დაპატარავდა

როგორც შემედლო მაქსიმალურად
შევსუნთქე და გავედი.
ვფიქრობ და ვბრაზდები: ხომ შე-
იძლებოდა თავიდანვე ეთქვა რომ
მეცხრე სართულზე ცხოვრობდა.

შევსუნთქე.
სუნთქვა დავიწყე.
გამოდის შემძილია.

მე რატომ არ ვუთხარი რომ მეხუთე
სართულზე ვცხოვრობ...



გორა ჟღენტი | GOCHA ZHGENTI

მოდი კუბთან, ხის ქვეშ | Join us at the Cube under the Tree

ქვაზე ხატვის ვორქშოპი | Stone painting workshop

ვორქშოპი დილაადრიან დაიწყო და გამვლელები, ვორქშოპზე დარეგისტრირებულ მონაწილეებთან ერთად, შემოქმედებით პროცესში ჩაებნენ.

მონაწილეები ქვებით ხელში გალერეის შესასვლელთან მდგარ ხეს შემოუსხდნენ და ხატვა დაიწყეს.

ვორქშოპზე შექმნილი ქვაზე დახატული ნამუშევრები მზიურის პარკში, გალერეის კართან დარჩება...

The workshop began early in the morning, with passers-by joining the registered participants in the creative process.

Young people, holding stones, approached the tree at the gallery entrance and began painting.

The stone artworks created during the workshop will be left at the gallery's entrance in Mziuri Park..





მამუკა სამხარაძე |
MAMUKA SAMKHARADZE

დოლებით ვეფხისტყაოსნის ამბავი |
The Story of The Knight in the Panther's Skin
with Drums

დოლების იოგის პრაქტიკის ვორქშოპი |
Drum Yoga workshop practice





ნინო მაღლაკელიძე | NINO MAGHLAKELIDZE

მედეას ბაღი | Medea's Garden

პერფორმანსის მოსამზადებელი ვორკშოპების სერია |
Performance workshop series

პერფორმანსის მონაწილეებმა მცენარეებთან შეხებით მედეას ბაღი გააცოცხლეს. იმისთვის, რომ მედეას მეტაფიზიკური ბაღი სულის და სხეულის ჰარმონია გადმოეცათ, საიდუმლოთი ინსპირირებული არტისტული კვლევა სხეულის მოძრაობით გადმოიცა.

სულის მკურნალი ქალღმერთის არქეტიპი - მედეა ყველა ფემინური ძალის მატარებელ სხეულშია, რითაც მძაფრად შეიგრძნობა სამყაროს ჯადოსნური ბუნება.

The participants of the performance brought Medea's garden to life through their interaction with the plants, creating a metaphysical space that harmonizes body and soul. This artistic exploration, inspired by mystery, was expressed through movement.

Medea, the archetypal healing goddess of the soul, embodies the full power of femininity, through which the magical essence of the universe is deeply felt









კშიშტოფ ფრანასეკ | KRZYSZTOF FRANASZEK

წონასწორობა თიხის ფეხებზე | Balance on Clay Legs

ხის მაგიდა, გამოუმწვარი თიხა |
Wooden Table, unburned clay

არტისტერიუმის თანამშრომლობა პოლონურ არტ ინსტიტუციებთან 2008-ში, ფესტივალის დაარსებასთან ერთად დაიწყო. წელს, თბილისის პოლონური ინსტიტუტი არტისტერიუმის პარტნიორია და ფინანსურ მხარდაჭერას უწევს პოლონელი მხატვრის, კშიშტოფ ფრანაჩეკის მონაწილეობას პროექტში “სწავლის ხელოვნება: მულტიმედიაური ვორკშოპების სერია”, რომელიც არტისტერიუმი 17/2024 -ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. პროექტის ფარგლებში მხატვარმა ქართველ მონაწილეებთან მხარდამხარ იმუშავა და შექმნა სკულპტურული ნამუშევარი, რომელიც ეფუძნება მის შთაბეჭდილებებს მზიურის პარკის არქიტექტურასა და გარემოზე.

ფრანაჩეკის ნამუშევარი, სახელწოდებით “წონასწორობა თიხის ფეხებზე”, ასახავს იმ სახიფათო ბალანსს, რომელიც მან თბილისის თანამედროვე არქიტექტურაში დაინახა და რაც ხშირად მოკლებულია სწორ ხაზებს და სტაბილურობის განცდას. ნამუშევარი წარმოადგენს გამოუმ-

Artisterium’s collaboration with Polish art institutions began in 2008, the year of the event’s establishment. In 2024, the Polish Institute in Tbilisi is Artisterium’s partner, providing financial support for the participation of Polish artist Krzysztof Franaszek in the project "Art of Learning: Series of Multimedia Workshops" within the Artisterium 17 / 2024. The artist worked alongside Georgian participants to create a sculptural work that explores his impressions of Mziuri Park’s architecture and surroundings.

Franaszek’s "Balance on Clay Legs" piece reflects the dangerous balance he observed in contemporary Tbilisi architecture, which often lacks straight lines and a sense of stability. The work features an unburned clay sculpture placed on a slightly tilted table. The sculpture’s lower half is chaotic and spontaneous, while the upper part takes on a more abstract yet somewhat organized form. Set on a slanted surface, the piece captures a moment just before it collapses,

წვარი თიხის სკულპტურას, რომელიც ოდნავ დახრილ ზედაპირზეა მოთავსებული. ქანდაკების ქვედა ნაწილი ქაოტური და სპონტანურია, ხოლო ზედა უფრო აბსტრაქტულ, თუმცა გარკვეულწილად ორგანიზებულ ფორმას იღებს. დახრილ მაგიდაზე დადგმული ნამუშევარი აღბეჭდავს მომენტს დაშლის წინ, რაც სიმბოლურად თანამედროვე ცხოვრების არასტაბილურობას განასახიერებს. ორგანიზებული ფასადის მიუხედავად, სკულპტურის საფუძველი - ისევე როგორც თავად ცხოვრება - იმპულსური და არაპროგნოზირებადია.

ფესტივალის შემდეგ სკულპტურა პარკში გადაინაცვლებს, სადაც გამოუმწვარი თიხისგან დამზადებული ნამუშევარი, ბუნებრივი პირობების ზემოქმედების ქვეშ, თანდათან შეიცვლება. მისი ბუნებრივი დაშლის პროცესი ფოტო დოკუმენტირებული იქნება და დროთა განმავლობაში სკულპტურის დეკონსტრუქციას აღბეჭდავს.

symbolizing the instability of modern life. Despite presenting an organized façade, the sculpture’s foundation—like life itself—remains impulsive and unpredictable.

After the event, the sculpture will be relocated to the park. Since it is made of unburned clay, the piece will gradually change as it is exposed to the outside elements. Its natural deterioration will be photo-documented, capturing the process of its deconstruction over time.







ნინუცა გაბისონია & ბაჩი ვალიშვილი | NINUTSA GABISONIA & BACHI VALISHVILI

ბგერით მოყოლილი ამბები | Stories Told by Sound

მონაწილეობითი ვორქშოპი | Participatory workshop

კოლექტიური სიმღერის აქტი ადამიანში კათარზისს იწვევს, უსაფრთხოების და ერთობის განცდას.

Collective singing brings about a sense of catharsis, fostering feelings of security and unity.

ამ დროს, განსაკუთრებულად იგრძნობა, რომ ჩვენი ესმით და გვერდში გვიდგანან. ეს გვაძლევს საშუალებას გავიხსნათ და გამოვხატოთ საკუთარი თავი.

In these moments, we feel truly understood and supported, which helps us open up and express ourselves.

ვორქშოპის მონაწილეებმა სახვითი ხელოვნების და ხმის მეშვეობით, შექმნეს ნამუშევრები და დაწერეს მუსიკალური ამბავი, რომლის ტექნიკური ჩანაწერიც ვორქშოპზევე შეიქმნა.

Through art and music, workshop participants created visual works and composed a musical narrative. The technical recording of this story was made during the workshop itself.









სოფია ლაპიაშვილი | SOPHIA LAPIASHVILI

მობილეს შექმნა | Mobile Making

საბავშვო ვორქშოფი | Children workshop

“შუქურას” - ეკო ხელოვნების და დიზაინის სახელოსნოსა და არტისტერიუმში 17-ის თანამშრომლობის ფარგლებში, სოფია ლაპიაშვილმა პატარები მობილეების შესაქმნელ ვორქშოფზე მოიწვია.

შემოდგომაზე მზიურის პარკი განსაკუთრებულად ლამაზია. პარკში ვორქშოფის მონაწილეებმა ნაირ-ნაირი ფოთლები შეაგროვეს და მათი დახმარებით ულამაზესი მობილეები შექმნეს.

რა არის მობილე და როგორ გარდაიქმნება ის სამომხმარებლო ნივთად, მონაწილეებმა ვორქშოფიდან შეიტყვეს.

ვორქშოფი, შუქურას სახელოსნოში იაკონელი დიზაინის პედაგოგის, მასაიო ავეს (Masayo Ave) მეთოდოლოგიით შემუშავდა.

As part of the collaboration between “Shukura” Eco Art and Design Workshop and Artisterium 17, Sophia Lapiashvili invited children to a Mobile making workshop.

Mziuri Park is especially beautiful in autumn. In the park, the workshop participants gathered a variety of leaves and used them to create beautiful Mobiles.

Participants learned what a Mobile is and how it evolved into a consumer item.

The workshop was developed using the methodology of Masayo Ave, a Japanese design educator, in the “Shukura” Workshop.









მობილურით გადაღებული ვიდეო | Mobile Video Workshop

მონაწილეობითი ვორქშოფი | Participatory workshop

ციფრულ ეპოქაში მობილური ტელეფონის კამერა მუდმივად მზა საღებავად და ფუნჯად იქცა, რამაც მოძრავი იმიჯის შექმნის და ნახვის შესაძლებლობა საგრძნობლად შეცვალა. დღეს, მობილურით გადაღებული ვიდეო, მისი ხელმისაწვდომობის, სიმარტივის და სპონტანურობის გამო ძლიერი ინსტრუმენტი გახდა საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტების აღსაბეჭდად.



ტექნოლოგიურმა მიღწევებმა განაპირობა მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოს ხარისხიანი გარჩევადობა, სტაბილიზაციის და რედაქტირების ფუნქციები, რაც მნიშვნელოვანია, როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიონალური კონტენტის შემქმნელებისთვის.

ვორქშოფზე „მარტოობის“ თემა სამი განსხვავებული ვიდეოს საშუალებით გამოიხატა, რომელთაგან თითოეული ამ უნივერსალური და ღრმა ემოციის განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს.

The mobile phone camera, now a constantly ready paintbrush, has redefined how we create and view moving images in the digital age. Mobile videos have become an essential tool for capturing both meaningful and passing moments, thanks to their affordability, simplicity, and spontaneity.

As technology advances, mobile phone video quality has improved, with enhanced resolution, stabilization, and editing tools that appeal to both amateur and professional creators.

In the workshop, the theme of “Loneliness” is expressed through three distinct videos, each offering a unique perspective on this universal and deeply felt emotion.



ბაღერმა გამრეკელი მოდერნი

ილია ჭავჭავაძის პროსპექტი 83, თბილისი

ბორენა ნაჭყებია რკინის ყანა

ბორენა ნაჭყებიას პერსონალური გამოფენა „რკინის ყანა“, მაყურებელს მხატვრის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს სთავაზობს. გამოფენაზე წარმოდგენილია ნაჭყებიას ფერწერული სერიები „გზა“, „მიწა“, „სივრცე“, „სიცარიელე“ და ინსტალაცია „ყანა“.

ხუთივე სერიაში მხატვარი ომის შემდგომ გარემოს და ამ გარემოსთვის დამახასიათებელ ელემენტებს იკვლევს. ნამუშევრებში ადამიანი არ ჩანს, რითაც მხატვარი თითქოს ხაზს უსვამს ომის პერიოდში პერსონიფიცირებული დამოკიდებულების არარსებობას, როდესაც „მე“ ქრება და კოლექტიური ინტერესები და ძალისხმევა გადარჩენის საწინდარი და ამდენად, უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

სერია „გზა“ აფხაზეთის კონფლიქტის ბოლო პერიოდს ეხება. მხატვარი, კოდორის ხეობისთვის, შემოდგომაზე დამახასიათებელი ფერებისგან შექმნილი კამუფლაჟის აბსტრაგირებული ფორმებით, აფხაზეთის ომის შემდგომ, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, დევნილი მოსახლეობის მიერ განვლილ გზას იხსენებს.

„მიწა“ დიდი ზომის ტილოებისგან შექმნილი ტრიპტიხია, რომელიც გადამწვარი მიწის ერთგვარი ესთეტიზაციაა - აღმოღებული მიწა, რაზეც ომის დროს არავინ ფიქრობს.

„სიცარიელე“ ბორენა ნაჭყებიას შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მონოქრომული სერიაა. ერთი ფერის და მისი გრადაციების გამოყენებით, მხატვარი არ ტოვებს ადგილს აბსტრაქტული ან ფიგურატიული წარმოდგენებისთვის და მაყურებელში იმ „სიცარიელის“ გამოწვევას ცდილობს, რაც ომისშემდგომი ფსიქოემოციური მდგომარეობის ერთ ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

„სივრცე“ 6 ნაწილისგან შექმნილი ნამუშევარია და აფეთქების შემდეგ, ბოლის გაფანტვამდე მომენტს აღწერს, როდესაც დრო ჩერდება და ადგილის რეალობა სამუდამოდ ივლდება. ინტერაქტიური ინსტალაცია „ყანა“, სწორედ ამ მომენტს ეხმაურება. მაყურებელი დარბაზში შესასვლელად სიმინდებს შორის გადის, რათა მეტაფორულ „ექსტრემალურ“ სიტუაციაში მოხვდეს და სიმინდის გამხმარ ყანაში გზის გაკვლევის აბსურდულობა და სირთულე წამიერად მაინც შეიგრძნოს.

GALLERY GAMREKELI MODERN

83 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi

Borena Nachkebia Iron Field

Borena Nachkebia's solo exhibition, "Iron Field," showcases her latest body of work, featuring the painting series "The Road," "The Land," "Space," "Emptiness," and the installation "The Field."

Across these five series, Nachkebia delves into the post-war landscape, exploring the defining elements of this environment. The absence of human figures in the works seems to underscore the loss of personal identity during wartime, when the individual "I" vanishes, replaced by collective interests and survival.

The Road refers to the final phase of the conflict in Abkhazia. Through abstract camouflage patterns in the autumnal tones of the Kodori Valley, Nachkebia evokes the journey undertaken by displaced populations in the aftermath of the war during September-October 1993.

The Land is a triptych composed of large canvases, presenting a haunting aestheticization of scorched earth—land consumed by fire, unnoticed and forgotten during conflicts.

Emptiness, a monochromatic series typical of Nachkebia's work, utilizes a single color and its gradations, forgoing abstract or figurative forms. The artist seeks to evoke a sense of emptiness, mirroring the emotional void often felt in post-war psychological states.

Space, a six-part series, captures the moment just after an explosion, before the smoke disperses—when time halts, and the reality of the place is irreversibly altered. This concept is linked to the interactive installation Field, which places visitors in a metaphorical "extreme". To enter the exhibition, one must navigate a cornfield, confronting the absurdity and struggle of finding one's way through a desolate landscape.













კორეული ავანგარდი: ამბოხი და გაქცევა 1960-1980-ანი წლები.

კიმ ჩან დონგი, ხელოვნების კრიტიკოსი,
დამოუკიდებელი კურატორი.

თარგმანი: მაგდა გურული

„ისტორიული ავანგარდი“ დასავლური რაციონალიზმის და ინდუსტრიული კაპიტალიზმის მიერ გენერირებული მოდერნისტული ხელოვნების უარყოფაა. მოდერნიზმი, რომელიც დადას, სიურრეალიზმსა და ფუტურისმს აერთიანებდა, ღრმად ფესვადგმული ბურჟუაზიული საზოგადოების ინოვაციას ისახავდა მიზნად ხელოვნების საშუალებით და არა ახალი მხატვრული ფორმის შექმნას. ასეა თუ ისე, „ისტორიულმა ავანგარდმა“ ვერ შესძლო ინდუსტრიული კაპიტალიზმის შეცვლა, რასაც მიეღობოდა და კიდევ ერთ ახალ ინსტიტუციურ და საბაზრო ფორმად ჩამოყალიბდა. 1960-1970-იან წლებში, ნეო-დადას და ტრანს-ავანგარდის სახით, კვლავ აღმოცენებული ავანგარდი ისევ ისტორიული ავანგარდის გზას გაუყვა, თუმცა სოციო-პოლიტიკური რეალობისადმი კრიტიკული მგრძობელობით, მაინც განსხვავდებოდა მისგან.

აზიური ავანგარდი მცირედ განსხვავდება ევროპულისგან, რასაც განსხვავებული კულტურა და ისტორია განაპირობებს. პოსტმოდერნიზმის პარალელურად, აზიაში მოდერნიზმი კვლავ აქტუალურია. აზიური ავანგარდი, საკუთარ კულტურულ იდენტობაზე დაყრდნობით, ევროპული ავანგარდის საზღვრების დაძლევის

ისახავდა მიზნად, რის გამოც ავანგარდმა აზიაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. მას შეიძლება „სხვა ავანგარდიც“ ვუწოდოთ, რომელიც განსხვავდება ევროპული აზროვნებისა და ინსტიტუციონალიზმისგან.

კორეული ავანგარდი დასაბამს 1930-ანი წლებიდან, კორეელი კიმ ჰვანკის და იუ იონგუკის ნამუშევრებიდან იღებს, რომლებიც, ამ დროს, იაპონიაში სწავლობდნენ. იაპონიაში, კორეელი სტუდენტების ნაწილი, იაპონური ავანგარდული ჯგუფების - „მაკოს“ (1923), „დამოუკიდებელი ხელოვნების ასოციაციის“ (1937 -) და „ხელოვნების და კულტურის ასოციაციის“ (1940) გავლენას განიცდიდნენ. ამ გავლენების შედეგად 1937-1938 წლების იუ იონგუკის ობიექტები ან ლი სანგის ექსპერიმენტული პოეზია. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტი ხანმოკლე აღმოჩნდა, მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილ ავანგარდადაა მიჩნეული. იაპონიის 35 წლიანი ბატონობისგან (1910-1945) განთავისუფლების შემდეგ, ამ ექსპერიმენტებმა კორეაში აბსტრაქტული ხელოვნების მოძრაობას - „ახალ რეალიზმს“ დაუდო საფუძველი, რომელსაც 1947 წელს კიმ ჰვანკი და იუ იონგუკიც შეუერთდნენ. „ახალი რეალიზმი“

1950-ანი წლებისთვის უკვე ძლიერ მოძრაობად ჩამოყალიბდა, სახელწოდებით „ინფორმელი“. მათი სამიზნე ფიგურატიული, „ხელოვნების ეროვნული გამოფენები“ იყო. 1960 წელს, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის გავლენით შესრულებულმა ნამუშევრებმა უმაღლესი ჯილდოები მიიღეს „ხელოვნების ეროვნულ გამოფენაზე“, რამაც „ინფორმელი“ მენისტრიმად აქცია. 1960-ანი წლების შუალედში, „ინფორმელი“ ძლიერ მანერული გახდა, რის გამოც საბოლოოდ დაემშვიდობა ახალი დისკურსების აღმოჩენის შესაძლებლობას. „ინფორმელის“ მხატვრები შეეცადნენ „ხელოვნების ეროვნული გამოფენების“ სისტემის შეცვლას, თუმცა, ავანგარდისგან განსხვავებულ პოზიციაზე დაყრდნობით, რის გამოც ისინი საბოლოოდ შეუერთდნენ არსებულ სისტემას.

1960-ანის წლების ბოლოს, მხატვრების ახალი თაობა ახალ, ექსპერიმენტულ „პოსტ-აბსტრაქტულ“ მოძრაობას იწყებს. მათი ნამუშევრები სხვადასხვა მიმდინარეობის - კუბიზმის, ინსტალაციის, აქტივიზმის და ახალი მედიების სინთეზია და ქანდაკების და ფერწერის ტრადიციული ჟანრების წესების გადალახვას ცდილობს. „პოსტ-აბსტრაქტული“ მოძრაობის მხატვრები, კორეის განთავისუფლების წლებში დაბადებული ადამიანები, კორეული თანამედროვე ხელოვნების უსაზღვრო პოტენციალს განასახიერებდნენ. ახლის ძიებაში და დასავლური ხელოვნების მოდიფიკაციის გზით, მათ ემოციის და ლოგიკის ახალი, კორეული სტილი განავითარეს. მათი ნამუშევრები სოციუმის პრობლემატიკას, კორეულ ყოველდღიუ-

რობას და რეალობას ეხმაურებოდა. ისინი აკრიტიკებდნენ ინსტიტუციონალიზმს და სოციალური გამოწვევებით იყვნენ დაინტერესებულნი.

შეიძლება ითქვას, რომ ახალი, ექსპერიმენტულ-ავანგარდული სახელოვნებო აქტივობა კორეაში სწორედ 1960-ანი წლების ბოლოს იწყება და მიზნად აბსტრაქტული ხელოვნების პრინციპების გადალახვას ისახავს.

კორეული ავანგარდის აღწერისთვის, მინდა შევხებო იმ მხატვრების შემოქმედებას, რომლებიც, 20 წლის განმავლობაში, ავანგარდული და ექსპერიმენტული ნამუშევრებით უკვე დაფუძნებული ინსტიტუციების უარყოფას და მათ მიღმა მუშაობას ცდილობდნენ, გვიანი 1960-დან გვიან 1980-ან წლებამდე.

ამ პერიოდში დისკურსული ე.წ. „ხალხის ხელოვნება“ და მონოქრომული ფერწერაა. სხვა სიტყვებით, სოციალური რეალიზმი და ფორმალისტური მოდერნიზმი მენისტრში ხდება. ჩნდება მხატვართა ჯგუფები, რომლებიც გამოხატვის ახალ საშუალებებს ამ ორ მიმართულებას შორის ეძებენ. მონოქრომულ ფერწერას ფორმალისტური მოდერნიზმის ძლიერი გავლენა აქვს, ხოლო „ხალხის ხელოვნებას“ უფრო შინაარსი აინტერესებს, ვიდრე ფორმა. ამ პერიოდის მხატვრები, შინაარსსა და ფორმას შორის წონასწორობის აღმოსაჩენად, „ხალხის ხელოვნებასა“ და მონოქრომულ ფერწერას შორის ცდილობენ საზღვრების მოსინჯვას.

ავანგარდული მოძრაობა 1980-ან წლებში სხვადასხვა სახელოვნებო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ აქტივობებს უკავშირდება. ესენია:

„ახალგაზრდა კორეელი მხატვრების ასოციაციის გამოფენა“, „მეოთხე ჯგუფი“, „AG“, „დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი“, „ST“, „მეტა-ვოქსი“. სწორედ მათი მოღვაწეობა განაპირობებს კორეულ თანამედროვე ხელოვნებას 2000 წლის შემდეგ. 20 წლის განმავლობაში (1960-1980) კორეული ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება განსაცდელებით და ცვლილებებით იყო სავსე. აზიური თანამედროვე ხელოვნება, ამ დროს, ერთი მხრივ აზიური მოდერნიზმის და ინტენსიური ინსტიტუციური განვითარების და მეორე მხრივ მათი კრიტიკის ფონზე ყალიბდებოდა. ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ამ დროს სცენაზე გამოვიდა ლენდ-არტი, კონცეპტუალიზმი, საჯარო ხელოვნება და ახალი მედიები.

1960 წლების ევროპული, სტუდენტური მოძრაობების ტალღას განსხვავებული სახე ჰქონდა კორეაში. თუ ევროპული ახალგაზრდული მოძრაობა თვითკრიტიკული და ევროცენტრიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, კორეაში ის მთავრობასა და ხალხს შორის სოციალურ კონფლიქტსა და დაძაბულობაში გამოიხატა. მე-3 რესპუბლიკა (1963-1972), სამხედრო გადატრიალების შედეგად მოსული მთავრობა იყო, რომელიც ცივი ომის დროინდელ ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. მისი მიზანი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ნაციის მშენებლობა იყო, თუმცა 1960 წლების ბოლოს, კორეული საზოგადოების ძირითადი დაკვეთა დემოკრატიზაციაა. 1960-ანი წლების სტუდენტურმა მოძრაობამ და 1970 წლების ახალგაზრდული კულტურის აღორძინებამ, განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოაყალიბა პოპულარული კულტურის მიმართ. ამ პერიოდში, დასავლური მოდერნიზმი ფართო შესწავლის საგანი ხდება, რაც კორეული მინსტრიუმული მოდერნიზმის ფორმალური და სტილისტური დომინანტითა განპირობებული. მოგვიანებით, 1980-ანი წლების ბოლოს, მე-5 რესპუბლიკის კორეაში (1981-1987) სამხედრო დიქტატურით უკმაყოფილება და დემოკრატიზაციის სურვილი პიკს აღწევს. ჩნდება სახელოვნებო ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ გადალახონ სოციალური დაპირისპირება, რის გამოც „ხალხის ხელოვნების“ სახელით (Minjung Art), მოდერნიზმს ეწინააღმდეგებიან.

1986 წელს აზიური თამაშები და 1988 წლის სეულის ოლიმპიადის სასარგებლო ნიადაგი აღმოჩნდა კორეელი მხატვრებისთვის, რათა თავიანთი შემოქმედება საერთაშორისო მაყურებლისთვის გაეცნოთ. სწორედ ამ დროს იწყება კორეაში მოდერნიზმის პოსტმოდერნიზმით ჩანაცვლება.

ავანგარდული ხელოვნების მიმდინარეობები კორეაში

„ინფორმელის“ მხატვრები ახალმა ჯგუფებმა შეცვალა. ესენი იყვნენ: „Mu ჯგუფი“ (1962), „Origin“ (1963), „Nonkkol“ (1965) და „ახალი გამოფენების ჯგუფი“ (1964), რომლებიც ისტებლიშმენტის ხისტ ხელოვნებას და ინსტიტუციურ წინააღმდეგობრიობას ებრძოდნენ. „Nonkkol“-მა „Nonkkol Art“-ის გამოცემა და გამოფენების ორგანიზება დაიწყო. გამოფენაზე, სახელწოდებით „Mu ჯგუფი“, 1967 წელს, მათ

ნარჩენების გამოყენებით შესრულებული რამდენიმე ობიექტი აჩვენეს. „ახალგაზრდა კორეელი მხატვრების ასოციაციის გამოფენა“ 1967 წელს ზემოაღნიშნული ჯგუფების ორგანიზებით ჩატარდა. მათი ინტერესი ინდუსტრიული საზოგადოების და ხელოვნების ურთიერთქმედება იყო, განსხვავებით “ინფორმელის” მხატვრებისგან, რომლებიც მხატვრის შინაგან ტანჯვა-ტკივილზე და შემოქმედებით ვნებებზე იყო კონცენტრირებული. 1968 წელს ახალგაზრდა მხატვრების ახალი ექსპერიმენტების ტალღა მოჰყვა. ამ დროს იქმნება სამგანზომილებიანი ნამუშევრები და ტარდება ჰეფენინგები, რაც ოფიციალური ხელოვნების გამოფენების ჩაკეტილობას, აბსტრაქტული ხელოვნების ორგანოზომილებიან ბუნებას და „ინფორმელის“ მხატვრების მიდგომებს ეწინააღმდეგება. მათი შემოქმედებითი აქტივობა ძლიერ განსხვავდება უკვე აღიარებული მხატვრების შემოქმედებისგან. “Mu ჯგუფის” ახალგაზრდა მხატვრები ძირითადად სამგანზომილებიან ნამუშევრებს ქმნიან, მაშინ როდესაც “ახალი გამოფენების ჯგუფი” სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მათ შორის სტრიტ არტში და ჰეფენინგში. კანგ კუკ-ჯინი, ჯეონგ ჩანსუნი და ჯუნგ კანგ-ჯა 1968 წლის მაისში აწყობენ გამოფენას „გამჭვირვალე ბუმტი და სიშიშვლე“, სადაც მოდელი ჯუნგ კანგ-ჯაა. ესაა კორეაში პირველი შიშველი პერფორმანსი, რომელიც მუსიკალურ კაფეში „C'est Si Bon“-ში გაიმართა. კაფე თანადროული ახალგაზრდული კულტურის ცენტრი იყო. ჯონ კეიჯის ავანგარდული მუსიკის თანხლებით, მაყურებელმა ბუმტები გა-

ბერა, ჯუნგ კანგ-ჯას შიშველ სხეულზე დაამაგრა და შემდეგ დახეთქა. ეს იყო მონაწილეობაზე დაფუძნებული პერფორმანსი, რომელიც ამსხვრევდა მამაკაცის სტერეოტიპულ წარმოდგენებს ქალის სხეულზე. ეს იყო დრო, როდესაც კორეის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა მოკლე კაბებს და მამაკაცის გრძელ თმას. ამ ფონზე პერფორმანსის პროვოკაციულობამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს პერფორმანსი დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ატარებს, როგორც ფემინისტური არგუმენტი მამაკაცური სამყაროს და მისი ფასეულობების წინააღმდეგ. „მკვლელობა მდინარე ჰანის ნაპირზე“ (1968) “ახალი გამოფენების ჯგუფის” სამი წევრის კიდევ ერთი პერფორმანსია, რომელიც აკრიტიკებს მეინსტრიმული კულტურის კომერციალიზაციას, ჰეგემონიას და ალტერნატიულ გზებს ეძებს. 1967 წლის დეკემბერში „ახალგაზრდა კორეელი მხატვრების ასოციაციის გამოფენა“, “Mu ჯგუფის”, “ახალი გამოფენების ჯგუფის” და “Origin“-ის თანამშრომლობით შედგა. გამოფენა, როგორც კომენტარი სოციალურ პრობლემატიკაზე სხვადასხვა მედიასა და ფორმას აჩვენებდა, ძირითადად ობიექტს და ჰეფენინგს. გამოფენამ ოფიციალური მხატვრების გაღიზიანება გამოიწვია. გამოფენის გასსნაზე განგ კუკ-ჯინმა წარმოადგინა პერფორმანსი, სახელად „ცელოფანის პარკი“, რომელშიც წყალი ესხა. ჰეფენინგს პლასტმასის ქოლგით და სანთლებით, კრიტიკოსის, ოჰ გვანგსუს სცენარი ედო საფუძვლად. მისი შინაარსი მარტივი იყო: მხატვრები ქოლგაში სანთლებს აწყობდნენ, შემდეგ ხევდნენ მას და მის გარშე-

მო დადიოდნენ სიმღერით - „ჩიტი, ჩიტი, ლურჯი ჩიტი“. პერფორმანსი, „დონგჰაის განახლების“ ისტორიული აზროვნების სისტემის და აშშ-ს ბირთვულ ქოლგის კრიტიკული დაკავშირებით, კორეის დამოუკიდებლობის იდეას იკვლევდა.

კორეის ავანგარდული ასოციაცია - “AG” (1969 -1975)

“AG” პირველი კორეული ჯგუფია რომელმაც ღიად განაცხადა საკუთარი ავანგარდული ფილოსოფიის შესახებ. მან ასევე დაიწყო იგივე სახელწოდების ჟურნალის გამოშვება, სადაც იწერებოდა თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობების შესახებ და ადგილობრივი და საერთაშორისო თეორიული კვლევები ქვეყნდებოდა. თუმცა ჯგუფი საკუთარ თავს ავანგარდს მიაკუთვნებდა, მათი აქტივობა ყოველთვის ავანგარდული არ იყო. ისინი პასიურები იყვნენ სოციალურ კრიტიკასა და დაპირისპირებაში, ჰეფენინგის და პერფორმანსის მხატვრებთან შედარებით,

ლი ილის „ავანგარდული ხელოვნების თეორიის“ მიხედვით, რომელიც ჟურნალ „AG“-ის პირველ ნომერში დაიბეჭდა, ჯგუფი აქტიურად იკვლევდა ფორმალისტური მოდერნიზმის ახალ ტენდენციებს, როგორცაა ახალი რეალიზმი ევროპაში, პოპ-არტი ამერიკაში და ოპტიკური ხელოვნება. „AG“-ს მიერ ავანგარდის ახალი ტენდენციების კვლევა იმეორებდა მოდერნიზმის პრაქტიკას და ხელოვნების არსის ძიების პროცესს. ამიტომაც „AG“ არ ატარებდა ნამდვილ ავანგარდულ სულს, რადგან ის არ იყო დაკავებული სო-

ციალური განაცხადებით და არ ეწინააღმდეგებოდა ფორმალისტურ მოდერნიზმის. „AG“-ს გამოცემების გამოქვეყნების შემდეგ, მან ახალი მხატვრების მოზიდვა დაიწყო. მესამე გამოფენა, რომელიც 1971 წელს მოეწყო ისეთ მნიშვნელოვან მხატვრებს აერთიანებდა, როგორებიც იყვნენ ლი სეუნგ-ტაეკი, ლი კუნ-იონგი, ლი კანგ-სო, შინ ჰაკხეოლი, სონგ ბეონსოო, შინ მონსეოპი, და კიმ დონგ-კიოუ. „AG“-ს პრეზიდენტის, ჰა ჩონგ-ჰიუნის სერიები „უსახელო 72-D“, მავთულხლართით შეკრული ტილოები იყო, რაც ინდუსტრიალიზაციის ეპოქის ქაოსს და თანადროულ პოლიტიკურ სიტუაციას ეხმაურებოდა. მოქანდაკე პარკ სუკ-კონმა ყოველდღიური საგნები გააღიდა, მათი ჩვეული გარემოდან გამოეტანის მიზნით. ტრადიციულ ქანდაკებაში მომუშავე მხატვრებისგან განსხვავებით, მან შექმნა კონცეპტუალური, სამგანზომილებიანი ნამუშევრები, სადაც ხე და ტანისამოსი გამოიყენა. ლი სეუნგ-ტაეკის და კიმ კუ-ლიმის ნამუშევრები ავანგარდული სულის ძლიერი გამოხატულება იყო. მოქანდაკე ლი სეუნგ-ტაეკმა წარმოადგინა „არასკულპტურა“, სადაც „უსხეულო“ მასალები - წყალი, ქარი და ცეცხლი გამოიყენა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდის მხატვრები თავიანთ ნამუშევრებში ხალხური რეწვის მასალებს და ტრადიციასაც იყენებდნენ, რისი კლასიკური მაგალითიცაა ლი სეუნგ-ტაეკის შემოქმედება და მისი ნამუშევრები: „ქარის ფოლკლორული თამაში“, „მდინარეში მოტივტივე დამწვარი ტილო“ (1970), „ქაღალდის ხე“ და „შებოქილი ქვა“ (1960-1970). მისი ნამუშევრები განსხვავდებოდა დასავლური გამოხატ-

ველობისგან, რადგან მაყურებელს კორეული ესთეტიკის თანამედროვე ინტერპრეტაციებს სთავაზობდა. მისი თემები იყო: სექსუალური ენერჯია, როგორც სიცოცხლის წყარო და სიცოცხლისუნარიანობა, მხიარულება და შამანიზმი. მასვე შემოაქვს ტრადიციული პეიზაჟის კონცეფცია - „ნასესხები პეიზაჟი“. მაგალითად, მისი „ხის კარიბჭის ზარების თამაში“ პეიზაჟში ინტერვენცია „ნასესხები პეიზაჟის“ კონცეფციის საფუძველზე ხდება.

კიმ კუ-ლიმ „AG“-ს ცენტრალური ფიგურაა, რომელიც სხვა ჟანრების მხატვრებთან თანამშრომლობის იდეას და ვიზუალურ ხელოვნებაში ცეკვის, მუსიკის, მედიის და ფილმის შემოტანის პროცესს ლიდერობდა. მან უარი განაცხადა საუნივერსიტეტო განათლებაზე და შექმნა პირველი კორეული ექსპერიმენტული ფილმი „1/24 წამის მნიშვნელობა“. ასევე, მის დამსახურებად ითვლება სხვადასხვა ექსპერიმენტებით დაინტერესება, როგორცაა ლენდ-არტი, მეილ-არტი და ობიექტი. მან ექსპერიმენტული ნამუშევრების დიდი რაოდენობა შექმნა, მათ შორისაა ლენდ-არტის პირველი ნამუშევრები, რომლებიც კვალის კონცეფციას უკავშირდებოდნენ. ის იყო ავანგარდული „მეოთხე ჯგუფის“ ერთ ერთი დამაარსებელი. გარკვეული დროის განმავლობაში „AG“ სახელოვნების დინამიკის ცენტრში იყო, თუმცა 1975 წლისთვის, „სეულის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის“ ფორმირების პერიოდში, ნელ ნელა დაიშალა. ჰა ჩონგ-ჰუნმა, „AG“-ს ყოფილმა პრეზიდენტმა, მონოქრომული ფერწერების კეთება დაიწყო, რასაც ჯგუფის წევრები, მის დამ-

ლამდეც აქტიურად მიმართავდნენ.

მეოთხე ჯგუფი

1970 წლის ივნისში დაარსებულმა „მეოთხე ჯგუფმა“ მხოლოდ 6 თვე იარსება, მაგრამ უფრო ექსპერიმენტული და გავლენიანი აღმოჩნდა, ვიდრე „ახალგაზრდა კორეელი მხატვრების ასოციაციის გამოფენა“ და „AG“. კიმ კუ-ლიმი ძლიერი ექსპერიმენტული სულის მატარებელი და ჯგუფის აქტიური წევრი იყო. პოლიტიკური ინტერესები ჯგუფს ნაკლებად ჰქონდა, თუმცა მათ ვიზუალურ ხელოვნებაში მუსიკის, თეატრის და მოდის ახალი ელიტები ჩართეს. ჯგუფის წევრები არაჩვეულებრივ პერფორმანსებს და ჰეფენინგებს ატარებდნენ: „კონდომი და კარბამინი“, ლენდ-ბრიჯის ჰეფენინგი, და სხვ, ისინი საჯიკ პარკში დეკლარაციებს კითხულობდნენ და ოფიციალურ ხელოვნების პანაშვიდიც კი მოუწყვეს, ქუჩაში მარშით. კორეის ოფიცოზი ამბოხებულებად მიიჩნევდა და პოლიტიკურად ავიწროებდა მათ. მაგალითად, ჯგუფის ერთ ერთი წევრი ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის გამო დააკავეს. საბოლოოდ, „მეოთხე ჯგუფის“ დამლა სწორედ პოლიტიკურმა ზეწოლამ განაპირობა. მსგავსი ავანგარდული აქტივობა, რომელიც კორეულ ტრადიციულ „არამატერიალურ ფიქრებს“ ეყრდნობოდა, ნელ ნელა გაქრა პოლიტიკური შევიწროების და აღიარებული მხატვრების დაუინტერესებლობის გამო. კიმ კუ-ლიმი იძულებული გახდა იაპონიაში გადასახლებულიყო და იქ გაეგრძელებინა მოღვაწეობა.

ჯგუფი “ST” (Space+Time)

1975 წელს დაარსებული ჯგუფი “ST” კონცეპტუალურ ხელოვნებაში მუშაობდა, ჯგუფის ახალგაზრდა მხატვრები ლი კუნ-იონგი, სეონგ ნეუნგ-კიუნგი და კიმ იონგმინი ქმნიდნენ სამგანზომილებიან ნამუშევრებს და ატარებდნენ პერფორმანსებს. ჯგუფმა საფუძვლად ძლიერი დასავლური თეორიული ბაზა აირჩია. ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ კრიტიკული დისტანცია მეინსტრიმული კორეული ხელოვნებისგან, რომელიც ხასიათდებოდა „ბრტყელი ფერწერით და მედიების ესთეტიური გააზრებით“. ჯგუფის ლიდერმა, ლი კუნ-იონგმა შექმნა პერფორმატიული ხელოვნების ნიმუშები, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ლოგიკურ ხდომილებას“, რითიც ის იმპულსური და დაუგეგმავი ჰეფენინგებისგან განსხვავდებოდა. ლის ინტერესი ფენომენოლოგია და ლუდვიგ ვიტგენშტაინის ენის ფილოსოფია იყო. ლი უფანის, ასევე, ჯოზეფ კოშუტის - „ხელოვნება ფილოსოფიის შემდეგ“, გავლენით ის ლოგიკურ ხდომილებებს ადგილებსა და სხეულს უკავშირებდა. მისი ნამუშევარი სახელწოდებით „სხეულის ვადა“ (1971) სუბიექტის არსებობის დადასტურებას, სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობის ინტერპრეტაციით ახდენს. ნამუშევარმა დადებითი შეფასებები მიიღო, პარიზში ახალგაზრდა მხატვრების მე-8 საერთაშორისო ბიენალეზე, 1973 წელს. მისი ნამუშევარი „ლოკოკინას გალოპი“ სან პაულოს ბიენალეზე იყო წარმოდგენილი 1979 წელს, როგორც ეგზისტენციური ხდომილება, რომე-

ლიც ადამიანის საცხოვრებელ პირობებს მხოლოდ ხელებით და ფეხებით აჩვენებდა.

ჯგუფის მეორე წევრის, სეონგ ნეუნ-კიუნგი გალესილი ბრიტით გაზეთიდან სტატიებს ქრიდა. მისი ნამუშევრები, რომლებიც სემიოტიკას და ლინგვისტიკას ეფუძნებოდა, უარყოფდნენ გაზეთის ენას, როგორც შუამავალს ადამიანსა და ახალი ამბებს შორის. სხვა სიტყვებით, ისინი ავტორიტარული სისტემის დომინაციას და მედიის ინფორმაციულ კონტროლს ავლენდნენ და აკრიტიკებდნენ. „გაზეთი: 1974 წლის 1 ივნისის შემდეგ“ ჯგუფის ერთ ერთი რეპრეზენტატიული ნამუშევარია, რომელიც მედიას ფაქტების მანიპულაციასა და ფიქციის შექმნაში ადანაშაულებს. პერფორმანსის განმავლობაში მხატვარი გაზეთიდან ქრის სტატიებს, რასაც შემდეგ პლასტმასის ყუთში ინახავს, გაზეთის დარჩენილ ნაწილს კი კედელზე აკრავს. სეონგის ნამუშევრები უფრო ავანგარდულია, პოლიტიკური კრიტიკის გამო, ვიდრე ლი კუნ-იონგის „ლოგიკური ხდომილება“. ასეა თუ ისე, “ST” მას შემდეგ დაიშალა, რაც ჯგუფის წამყვანმა წევრებმა “Ecole de Seoul”-ში დაიწყეს მონაწილეობა.

დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი

დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი, რომელიც ქ. დაეგუში ტარდებოდა ყველაზე ექსპერიმენტული წამოწყება იყო კორეული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში. ფესტივალი, რომელიც მთელი ქვეყნიდან კრებდა ექსპერიმენტულ სტილში მომუშავე მხატვრებს, 1974

წელს ლი კანგ-სოს, ჰვანგ ჰიუჟუ-კის, პარკ ჰიუნ-კის, ჩოი ბიონგ-სოს და კიმ იოუნგ-ჯინის ინიციატივით დაარსდა და 5 წელი იარსება.

ფესტივალის სივრცე დაეგუს მდინარე ნაკლონგის განგჯეონგის ქვიშის სანაპირო იყო. ფესტივალი, რომელიც მოგვიანებით სეულის, გვანგჯუს და ბუსანის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალების მოდელი გახდა, აჩვენებდა ექსპერიმენტულ სამგანზომილებიან ნამუშევრებს, პერფორმანსებს და მედია ხელოვნებას.

დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის ლიდერი ლი კან-სო სხვადასხვა ექსპერიმენტულ პროექტებს ატარებდა. მაგალითად, გალერეაში ლიმ ბარი ააშენა, რათა სახელოვნებო სივრცე ჩვეულებრივ სივრცედ ექცია; თაბაშირით და ცემენტით დამაგრებული მოჭრილი ბამბუკები გალერეაში განათავსა, იმის საჩვენებლად თუ როგორ ახრჩობს სიცოცხლეს თანამედროვე ცივილიზაცია და პოლიტიკური ძალაუფლება; ერთხელ ქათმის კისერი ხის დაფაზე მიაბა, ქათმის პატრონი თაბაშირის ფხვნილით დაფარულ იატაკზე დასვა და ქათმის იატაკზე დატოვებულ კვალს ფოტო გადაუღო; უსახელო გასაყიდი ჯიხური ააშენა, საიდანაც ჭილოფზე დაწყობილ ვაშლებს ყიდდა. ნამუშევრებში მხატვრის ჩარევა მინიმალური იყო და აქცენტი მაყურებლის მონაწილეობაზე კეთდებოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ნამუშევარი არა ხელოვნურად, არამედ ბუნებრივად იქმნება.

პარკ ჰიუნ-კი პირველი კორეელი ვიდეო არტისტია. თავდაპირველი ნამუშევრებში, ის ვიდეოს, აღქმის

გაფართოვების მიზნით, ინსტალაციაში ან პერფორმანსში იყენებდა. ასეთი იყო, მაგალითად, სარკეებით შექმნილი ინსტალაცია მდინარე ნაკლონგზე, სადაც მდინარის წყალი და მისი სარკული გამოსახულება ერთმანეთს უერთდებოდა; „ქვის წყალი“ (1979) TV-მონიტორებით აგებული კომპი, ქვის გამოსახულებით, ან „ქალაქში გავლა“ (1981) სადაც გალერეის კედელზე, ქალაქში სარკეებიანი და კამერიანი მანქანით მისი გადაადგილების ვიდეო მიდიოდა.

ჩოი ბიუნ-სო გაზეთებზე მუშაობდა, სადაც ის, როგორც სიმართლის მძებნელი, შავი კალმით ტექსტებს აფერადებდა. ამ გზით ის გაზეთის ძალაუფლებას და მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განეიტრალებას ცდილობდა. შედეგად, გაზეთი განსხვავებული აქტივობის სარბიელი ხდებოდა, რითაც იცვლებოდა მისი, როგორც ინფორმაციის გამავრცელებლის პირველადი ბუნება.

კიმ ჯუნ-ჯინი თავის ნამუშევრებში შინაგან სამყაროს და იდენტობას იკვლევდა, რისთვისაც ის იწინა და იანის კონცეფციას იყენებდა, რაც საბოლოოდ, ნამუშევარში ქუჩის რეკლამის ენით იყო გადმოცემული. თუმცა პარკ ჰიუნ-კი კორეული ვიდეო ხელოვნების პირველ კორეულ არტისტად ითვლება, ფოტოსა და ვიდეოში ოთხივე მხატვარი მუშაობდა. 1978 წელს მათ ერთად იქირავეს სახელოსნო, სადაც ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობდნენ და უნიკალური ნამუშევრების შექმნას ცდილობდნენ. დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალმა, რომელიც ექსპერიმენტული ხელოვნების

აკვანი იყო, დროთა განმავლობაში დაკარგა გავლენა და ენერჯია. 1975 წლისთვის, ჯგუფის რამდენიმე წამყვანი მხატვარი "Ecole de Seoul"-ში და „სეულის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალში“ გადავიდა, რის გამოც, ჯგუფის გავლენა, უკვე 1979 წლის შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა.

პატარა ჯგუფები 1989-ან წლებში

კორეული თანამედროვე ხელოვნების ისტორია ცვლილებების და ინტეგრაციის ისტორიაა. ამ ცვლილებების გამომხატველი იყო, მაგალითად, 1975 წელს ტოკიოში ჩატარებული 5 კორეული მხატვრის 5 გამოფენა. გამოფენამ აჩვენა რომ მონოქრომული ფერწერა დიდად პოპულარული იყო იაპონურ სახელოვნებო სცენაზეც, რასაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა ჰქონდა კორეულ სახელოვნებო ჯგუფებზე.

"Ecole de Seoul" და „სეულის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის“ დაფუძნების და "AG"-ს გაუქმების შემდეგ სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე მხატვრები, მონოქრომულ ფერწერაში მომუშავე მხატვრების გარშემო გაერთიანდნენ, რამაც ექსპერიმენტული აქტივობის თანდათანობითი გაქრობა გამოიწვია. ამ დროიდან, ადრეულ 1989-ან წლებამდე, როდესაც „ხალხის ხელოვნება“ აღმოცენდა, კორეულ თანამედროვე ხელოვნებაში ფორმალისტური მოდერნიზმი დომინირებდა, მონოქრომული ტენდენციებით. ავანგარდული აქტივობა მარგინალუ-

რი გახდა და შემცირდა. სხვა ძალა, რომელიც კორეული ხელოვნების ერთგვაროვნებას აკრიტიკებდა, იყო ე.წ. „ხალხის ხელოვნება“, რომელიც ხელოვნების სოციალურ როლზე ფიქრობდა და მხატვრების აქტიურ მონაწილეობაზე სოციუმის ცხოვრებაში. „ხალხის ხელოვნება“, რომელსაც საკუთარი სადისკუსიო სივრცე ჰქონდა, ჰეგემონური მოძრაობა იყო თავისი ბუნებით, რომელიც რეალიზმს ეფუძნებოდა. ამის გამო „ხალხის ხელოვნების“ ნამუშევრები ხშირად არ იყო ჩართული გამოფენებში. სხვა ძალები, რომლებიც, 1980-ანი წლების შუალედში ფორმალისტურ მოდერნიზმს ეწინააღმდეგებოდნენ, იყვნენ პატარა ჯგუფები, რომელთა მოღვაწეობასაც წარმატებით ფარავდა „ხალხის ხელოვნების“ გავლენიანი ტენდენცია. მიუხედავად ყველაფრისა, პატარა ჯგუფები ავანგარდული ტრადიციის განახლებას ცდილობდნენ და უარს ამბობდნენ სოციალურ რეალიზმზე. ასეთი ჯგუფები იყვნენ: „ტარა“ (1981-1990), რომელიც ჯერ კიდევ 1960-ანი წლებიდან არსებობდა, „ნანჯილო“ (1985-) და „მეტა-ვოქსი“ (1985-). კიმ გვანსუ, იოოკ კუნ-ბიუნგი და კიმ ჯან-სუპი „ტარას“ წევრები იყვნენ. იოოკ კუნ-ბიუნგი 1989 წლის სან პაულოს ბიენალეში მონაწილეობდა და პირველი კორეელი არტისტი იყო, რომელმაც აზიურ მსოფლმეგრძნების კვლევაზე დაფუძნებული ნამუშევარი კასელის დოკუმენტაზე წარადგინა.

ჯგუფში - „ნანჯილო“, შინ იონ-სუკი, ჰა იონგ-სოკი და იოონ მიუნგ-ჯაე, ხარისხიანი ცხოვრების აუცილებლობაზე და ადამიანის არსებობის მიზეზებზე ხაზგასასმელად მასალად

ნაგავს - თანამედროვე საზოგადოების ნარჩენებს იყენებდნენ. „მეტა-ვიქსმი“, ოპ სანგ-გილი და მე (კიმ ჩან დონგი, სტატიის ავტორი) სხვადასხვა საშუალებით ვცდილობდით საგნების იკონოგრაფიული ტრადიციის რეინტერპრეტაციას, რათა გავსულიყავით მასალის ფიზიკური მახასიათებლების მიღმა, რაზეც კორეული მოდერნისტული ესთეტიკა იდგა.

პატარა ჯგუფები ერთმანეთში იცვლებოდნენ და აწყობდნენ გამოფენებს, სადაც ოფიციალური კორეული ხელოვნების ერთგვაროვნების საპირისპიროდ, ახლის ძიება იყო შესაძლებელი. მხატვრების ნაწილმა, რომელიც მანამდე უფროსი თაობის მონოქრომული ფერწერის გარშემო იყო გაერთიანებული, მათგან გამოყოფა გამოაცხადეს და საკუთარი გზის ძიება დაიწყეს, სახელწოდებით „მდუმარე უმრავლესობა“. კიმ იონგ-იკის ლიდერობით, მოონ ბეომი, კიმ ჯანგ-სუპი ანდ ჰონგ მიუნგ-სეოპი გაერთიანდნენ ჯგუფში „სეულის მარში“ (1987-). ჯგუფის სტრუქტურა მოქნილი იყო. ინტერდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით, ისინი ახალი ექსპრესიული სტილების ათვისებას ცდილობდნენ.

ამ პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი მხატვრები არიან კიმ ნუნგ-ბაე და ჯუნგ ბოკ-სუ, „ხალხის ხელოვნების“ მოძრაობის წარმომადგენელი, რომელსაც არ ჰქონდა გამონახტული სოციო-პოლიტიკური პოზიცია და საკუთარ, უნიკალურ ე.წ. იატაკის ფერწერებში ირაციონალური თვითგამოხატვით იყო დაკავებული. გვიან 1980-ან წლებში გლობალიზაციისა და გააქტიურებული კომუნიკაციის ფონზე, კორეაში უცხოეთიდან უამრავი ინფორმაცია შემოვიდა,

საერთაშორისო ურთიერთგაცვლა წახალისდა და კორეული ინსტიტუციებიც საგრძნობლად შეიცვალნენ. ამ პერიოდში ავანგარდს აქტიურად ცვლის პოსტმოდერნიზმი, რის გამოც 1980-ანი წლების შემდეგ ავანგარდის კვლევას სიდრმისეული და ცალკე ანალიზი ესაჭიროება.

კორეული ავანგარდის მახასიათებლები

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, კორეული ავანგარდი კორეის განთავისუფლების შემდეგ დაბადებულმა თაობამ დაიწყო, რომელის აქტიურად ჩაება სოციალური პრობლემატიკის კვლევაში და უკვე 1960-ანი წლების ბოლოს საკუთარი განაცხადი გააკეთა. ისინი შეეცადნენ გაქცეოდნენ აბსტრაქტულობას და ორგანოზომილებიანობას, რომელიც გვიანი 1950-ანი წლების აბსტრაქტული „ინფორმელის“ სკოლისთვის იყო დამახასიათებელი. ავანგარდის მხატვრები ატარებდნენ პერფორმანსებს, მუშაობდნენ სტრიტ და მედია არტში, თანამშრომლობდნენ ხელოვნების სხვა სფეროებთან, როგორცაა თეატრი და კინო. ეს ყველაფერი ოფიციალური ხელოვნებისგან განსხვავებული გზის ძიებით იყო აღბეჭდილი. ავანგარდული მოძრაობის წარმოშობა გარკვეულად 1968 წლის სტუდენტურ მოძრაობას და ახალი სამყაროს შექმნის განზრახვებს უკავშირდება. ის კორეულ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობრიობის გადალახვის აუცილებლობას მოიცავს, რომელიც თავის მხრივ ცივი ომის ანტიკომუნისტური იდეოლოგიის დიქტატურას უკავშირდება, მაშინ როდესაც

ქვეყნის მოსახლეობის სურვილი ინდუსტრიალიზაცია და დემოკრატიზაცია იყო.

1960-1970-ან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი ინფორმაცია დასავლური პრაქტიკების შესახებ, კორეული ავანგარდი ხასიათდება ახალი მიდგომების აღმოჩენის და უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებების გადასინჯვის თანდაყოლილი მოთხოვნილებით. სხვა სიტყვებით, ავანგარდის კორეელმა არტისტებმა, თვითგამოხატვის კორეული სტილის შესაქმნელად, დასავლეთიდან აღებული სტილების მოდიფიკაცია მოახდინეს. მაგალითად, ნამუშევარში „მკვლელობა მდინარე ჰანის ნაპირას“, რომელიც ჯგუფ „ახალ გამოფენას“ ეკუთვნის, სიტყვა „დასაფლავების“ გამოყენება, ხუმრობანარევი კომენტარია, ოფიციალურ სახელოვნებო წრეებთან არსებულ წინააღმდეგობაზე. „ახალგაზრდა კორეელი მხატვრების გამოფენებზე“ ნაჩვენები პერფორმანსები სპეციფიკურ სიმბოლოებს და ხალხურ სიმღერებს მიმართავდა, კორეული, ისტორიული რეალობის გამოსავლენად. ობიექტები, რომელიც პერფორმანსებში გამოიყენებოდა, კორეის სოციო-პოლიტიკურ რეალობაზე მიუთითებდა. ლი სუნგ-ტაეკის არამატერიალური და უსხეულო ნამუშევრები ინსპირირებული იყო ტრადიციული ფოლკლორული თამაშებით და არტეფაქტებით. მისი მხატვრული ექსპერიმენტი კორეული აზროვნების სისტემებს ეფუძნებოდა, მათ შორის შამანიზმს, ანიმიზმს და ლაო ძის კიმ კუ-ლიმი მრავალმიმართულებიან ჯგუფებს აყალიბებდა, ექსპერიმენტული მიდგომებით, რაც

ნათლად ვლინდება მის ნამუშევარში „1/24 წამის მნიშვნელობა“. მას ეკუთვნის ლენდ-არტის პირველი ნამუშევარი კორეაში, როდესაც მან სალგუჯის ხიდთან, მდინარის ნაპირზე გეომეტრიული ფორმის მქონე ობიექტები დაწვა, რაც განსხვავდებოდა დასავლური ლენდ-არტისგან, რადგან ის კორეული ხალხური ცეცხლის თამაშებით იყო ინსპირირებული. ასევე, მისი „ინი და იანის“ სერიები ტრადიციულ-ნეო-კონფუციანურ აზროვნებას ეფუძნება. „მეოთხე ჯგუფის“ მრავალფეროვანი ავანგარდული პრაქტიკის შედეგია პირველი მულტიმედია ნამუშევრები კორეაში. ისინი, პოლიტიკური სლოგანების ნაცვლად, საზოგადოებას განახლებულ ჰუმანიზმს და ეროვნული კულტურის ავტონომიას სთავაზობდნენ. „AG“ და „ST“-ს ექსპერიმენტულ ბუნებაზე 1970-ან წლებში, დიდი გავლენა იქონია დასავლურმა მიმდინარეობებმა, თუმცა ჯგუფები ბოლომდე დარჩნენ კორეული პრობლემატიკის და ემოციის ერთგული. მაგალითად, სეონგ ნუნგ-კიუნგის მიერ გაზეთების ქრაოფიციალური მედიის და მისი ავტორიტეტის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი ნამუშევრები სიტყვის თავისუფლების ჯერ კიდევ პრობლემატურ მდგომარეობას და მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ სკეპტიციზმს გამოხატავდა. დაეგუს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის მიერ შექმნილი მედია ნამუშევრების ექსპერიმენტულობა განსხვავდებოდა დასავლური ექსპერიმენტისგან, რადგან აქ მედია აღქმული იყო, როგორც ბუნების ნაწილი ან დაკნინებული ფუნქციის მქონე კორეული ავანგარდი მეტ-ნაკლებ

